თანამედროვეობა და ხალხური ქორეოგრაფია

(ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მაგალითებზე)

ანანო სამსონაძე

საკვანძო სიტყვები: *თანამედროვეობა, ხალხური ქორეოგრაფია*

ხალხურ ქორეოგრაფიას სხვაგვარად საცეკვაო ფოლკლორს უწოდებენ. ტერმინებს „ხალხური“, „ეთნიკური“, „ფოლკლორული“ სინონიმური მნიშვნელობა აქვს, რომელიც ფაქტებისა და მოვლენების სიძველეზე, არქაულობაზე, მათ შორეულ წარმომავლობაზე მიგვითითებს. ამ ტერმინებით ხასიათდება ხალხის/ერის/ეთნოსის იდენტობის ყველა ელემენტი, როგორც ყოფითი, რომელიც აისახება მატერიალური კულტურის სხვადასხვა ფორმებში, ასევე მსოფლმხედველობითი - სამყაროსადმი დამოკიდებულება და მისი მხატვრული აღქმა-ასახვა.

ტერმინი „ფოლკლორი“, რომელიც ანგლოსაქსურ კომპოზიტს წარმოადგენს და სიტყვასიტყვით „ხალხის (folk) სიბრძნეს (lore)“ ნიშნავს, პირველად, ჟურნალ The Athenaeum-ისთვის მიწერილ წერილში 1846 წელს ინგლისელმა მეცნიერმა უილიამ თომსმა გამოიყენა, რომელმაც ამ ტერმინით წინარე სიტყვათანაერთი „ხალხური სიძველენი“ ჩაანაცვლა. მას შემდეგ, ტერმინმა მყარად დაიმკვიდრა ადგილი ეთნოგრაფია/ეთნოლოგიის სივრცეში და, მიუხედავად დეფინიციის მცირე ცვალებადობისა (სხვადასხვა დროს მისი მნიშვნელობა უფრო ვიწროვდებოდა და შემოიფარგლებოდა ზეპირსიტყვიერების - ხალხური ლიტერატურის ნიშნით), საბოლოოდ შეინარჩუნა ავტორისეული, პირველადი სემანტიკა, რაც უძველესი დროიდან მომდინარე ხალხის ცნობიერებაში კრისტალიზებული მხატვრული სახეების სისტემას წარმოადგენს. ეს მხატვრული სახეები ვლინდება შემოქმედებით პროცესში, მხატვრული ნიმუშების შექმნის გზით, რომელთა ისტორიული საწყისები კონკრეტული ეთნოსის წარმოშობის თანადროულია. ამრიგად, ფოლკლორს მოვიაზრებთ, როგორც ხალხის შემოქმედებითი უნარების გამოვლენის საშუალებას, რომლის დასაბამს ისტორიის ამოუცნობ სიღრმეებში ვიძიებთ.

თანამედროვე სამყაროც მრავალეთნიკურია და თითოეული ეთნიკური ერთობა, გლიბალიზაციის აქტიური პროცესების მიუხედავად, ინარჩუნებს ან ცდილობს შეინარჩუნოს თვითმყოფადობის ნიშნები, მათ შორის ფოლკლორის სახით. ფოლკლორი დღევანდელობის, თანამედროვეობის ისეთივე შემადგენელი ნაწილია, როგორც ხალხურობის სხვა ნიშნები: ენა, ტერიტორია, სოციო-კულტურული წყობა და სხვ. ფოლკლორი თანამედროვეობაში არის ანარეკლი პროტოეთნიკური ყოფიერების, რომელიც, თუ კარლ გუსტავ იუნგს დავესესხებით, კოლექტიური ქვეცნობიერის, კულტურული არქეტიპის/გენოტიპის დონეზე ვლინდება ეთნოსის ისტორიული არსებობის ნებისმიერ ეტაპზე.

ფოლკლორი ძველად და ფოლკლორი ახლა..., თითქოსდა ისტორიის ორი უკიდურესად დაშორებული წერტილის გადაკვეთაა. და ამ კონტექსტში იბადება კითხვა, რამდენად მყარია ფოლკლორის სტრუქტურა და რამდენად უცვლელია მისი ფორმა-ქმნადობის პროცესი? რამდენად ინარჩუნებს საუკუნეებგამოვლილი ფოლკლორი სტატიკურობას, კანონიკურობასა და არქაულობას? რა არის ფოლკლორის მდგრადობის პარადიგმა? პასუხი ამ კითხვებზე ნათელს მოჰფენს ფოლკლორის ისტორიულ-ქრონოლოგიური განვითარების თავისებურებას, რომელიც ფოლკლორში ახალი ტენდენციების შექმნას განაპირობებს.

თუ ფოლკლორის ნიშანთვისებათა (გავრცელების ზეპირი ფორმა, ანონიმურობა, კოლექტიურობა, იმპროვიზაცია, ვარიანტულობა, ყოფითობა, სინკ-

რეტიზმი და სხვ.) ერთობლიობას განვიხილავთ და თითოეულ მახასიათებელზე ვიმსჯელებთ, მარტივად დავასკვნით, რომ ფოლკლორი, მიუხედავად მისი საყოველთაოდ გავრცელებული ორთოდოქსული ხასიათისა, არის ცოცხალი, დინამიკური მოვლენა, ცვალებადი ბუნებით. ყველა ამ ნიშნით შექმნილი და დროში, საუკუნიდან საუკუნეში „იმპორტირებული“ ფოლკლორული ნიმუში ვერ იქნება ერთი ყალიბით ჩამოსხმული და კოპირებული ფორმით გავრცელებული. კოლექტიური ნააზრევით შექმნილი და თაობიდან თაობაზე იმპროვიზაციის გზით გადაცემული ნიმუში, თავისთავად ფართო ასპარეზს იძლევა განსხვავებული ვარიანტის შესაქმნელად. მაშ რა არის ის უცვლელი, ხელუხლებელი ბირთვი, რომელიც ფოლკლორს უნარჩუნებს კონკრეტული ხალხის, ეთნოსის მაიდენტიფიცირებელ ნიშანს და რა არის ის, რისი სახეცვლაც დასაშვებია?

ეს პრობლემა იკვეთება ხელოვნებაში არსებულ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან - ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართების საკითხთან. ჩემი აზრით, კონსტანტად (უცვლელად) შეიძლება მივიჩნიოთ ფოლკლორული ნიმუშის გამჭოლი ფუნქციურ-შინაარსობრივი ღერძი და მხატვრული აზროვნების სიმბოლურ სახეთა სისტემა.

ნაკლებ მდგრადობას იჩენენ ამ სახეთა ასახვის ფორმები, ის პირობითი ჩარჩოები, რომლებშიც ექცევა შემოქმედებითი აზრის ნაკადი. ფორმა, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიმუშის სტრუქტურული წყობა, მეტად მოქნილია და უფრო ადვილად ექცევა სხვადასხვა გარე თუ შიდა ფაქტორების გავლენის ქვეშ. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთქმული მოსაზრება არა აბსოლუტური, არამედ, მეტ-ნაკლებობის შეჯერებაზე, დომინირების პრინციპზე აგებული მოსაზრებაა.

კვლევის ძირითად საკითხს თუ დავუბრუნდებით, შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი, რაც შესავალ ნაწილში ზოგადად ფოლკლორზე თქმულა, ეხება ყველა კონკრეტულ ფოლკლორულ მიმართულებას: ზეპირსიტყვიერებას, მუსიკალურ ფოლკლორსა და საცეკვაო ფოლკლორს. ამ სამივე მიმართულებიდან, მათი გამომსახველობით საშუალებათა განსხვავებული ბუნებიდან გამომდინარე (სიტყვა, ბგერა, მოძრაობა), ზეპირი გზით გადაცემა-გავრცელების პროცესში ზეპირსიტყვიერება (სიტყვა) და მუსიკა (ბგერა) უფრო მეტ სიმყარეს იჩენენ და უკეთ ინარჩუნებენ ფორმა-შინაარსის არქაულ მოდელს. მათი მდგრადობის ხარისხი, ასევე აიხსნება ზეპირსიტყვიერი და მუსიკალური ფოლკლორის მეტწილად კამერული ხასიათით, როდესაც ლექს-სიმღერის შესრულება ხდება ინდივიდუალურად, ან, ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ.

განსხვავებული ვითარებაა საცეკვაო ფოლკლორთან მიმართებაში. ცეკვის მთავარი გამომსახველობა ხეულის მოძრაობათა სისტემის ერთობლიობაა: პლასტიკა, მიმიკა, პოზა, ჟესტი, რაკურსი და ა.შ., შეიძლება, უფრო რთულ ფსიქო-ფიზიოლოგიურ მოვლენად მივიჩნიოთ, ვიდრე ცალ-ცალკე სიტყვა ან ბგერა. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როდესაც საცეკვაო ილეთს ორგანულად ერწყმის ბგერაც და სიტყვაც, როგორც ეს ფერხულებშია. ამ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სიტყვა-ბგერა-მოძრაობის სამერთიანობა, რაც, დამეთანხმებით, მომდევნო თაობისთვის გადაცემის, ზეპირი გავრცელების პროცესში მეტ ძალისხმევას საჭიროებს.

ამასთანავე, საცეკვაო ტრადიციების უწყვეტი არსებობა, ხშირ შემთხვევაში, კოლექტიურ ხასიათს ატარებს. საცეკვაო ნიმუშთა უძველეს, ავთენტურ ფორმას - საფერხულო ცეკვას ხალხურ დღეობა-დღესასწაულებზე მრავალრიცხოვანი მეფერხულენი ასრულებდნენ. თუ, ასევე, გავითვალისწინებთ რიტუალური ფერხულების/რიტუალური ცეკვების სინთეზურობას და მოვიაზრებთ მათ თეატრალიზირებული სანახაობის ანუ რთული ქმედებათა ჯაჭვის შემადგენელ ნაწილად, ლოგიკურად ვასკვნით, რომ საცეკვაო ფოლკლორის მდგრადობა, ზეპირსიტყვიერებასა და მუსიკასთან შედარებით, ნაკლებ სიმყარეს იჩენს და მეტად ექვემდებარება ცვალებადობას, მათ შორის ისტორიულ-ეპოქალური ტენდენციების ზეგავლენით. ფოლკლორი, როგორც ერის მემატიანე ასახავს ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს სხვადასხვა ფორმითა და გამომსახველობითი ხერხებით. ამ კონტექსტში, საცეკვაო ფოლკლორიც, ისტორიულ-რელიგიური ვითარების გათვალისწინებით, ჩამოყალიბდა ისეთ სოციო-კულტურულ მოვლენად, რომელიც არსებობის სხვადასხვა ეტაპზე სახეცვლილი ფუნქციურ-შინაარსობრივი და

სტრუქტურული კონფიგურაციით გვევლინება. შესაბამისად, მართებულია საუბარი თანამედროვე ფოლკლორის განსხვავებულ ბუნებაზე და მის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე.

მცირედი ექსკურსი ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისში დაგვეხმარება ვიზუალურად წარმოვიდგინოთ ხალხური ცეკვის განვითარების ქრონოლოგიური პროცესი არქაული ფორმებიდან მის თანამედროვე ინტერპრეტაციამდე. წარმოდგენილ სქემატურ გამოსახულებაში გამოკვეთილია ხალხური (ფოლკლორული) ცეკვის სამი ძირითადი სეგმენტი: ფესვები/ეთნოფაქტორები, ცენტრალური ღერძის პირველი საფეხური და განშტოებები: ავთენტური-ხალხური და სასცენო-ხალხური ცეკვების სახით (იხ. ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისის სქემა). ავთენტური და სასცენო ხალხური ცეკვების მკაფიო დიფერენცირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვეობის ცნებასთან მიმართებაში. ავთენტური საცეკვაო ფოლკლორის ისტორიულ წარმომავლობაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. რაც შეეხება სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიის წარმოშობა/განვითარებას, იგი უკანასკნელ ორ საუკუნეს მოიცავს და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქორეოგრაფიის ისტორია ათასწლეულებს ითვლის, ორსაუკუნოვანი მონაკვეთი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება სასცენო-ხალხური ქორეოგრაფია მთლიანად თანამედროვეობის ნიშნით განვიხილოთ.

წარმოდგენილ თეორიულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, რომელიც, ასევე, გამყარებულია ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისითა და ქორეოგრაფიულ პრაქტიკაზე ემპირიული დაკვირვებით, შეიძლება ითქვას, რომ ხალხური საცეკვაო ტრადიციების თანამედროვე გამოვლენას რამდენიმე მიმართულება აქვს. როდესაც:


1. საცეკვაო ფოლკლორი ინარჩუნებს პირვანდელ სახეს (ავთენტური ხალხური ცეკვები);
2. საცეკვაო ფოლკლორი გარდაიქმნება ხელოვნების დარგად (სასცენო - ხალხური ცეკვები);
3. საცეკვაო ფოლკლორის ელემენტები გამოიყენება ცეკვის სხვა სახეობებში ან სხვა სანახაობით ხელოვნებებში (Performing Arts).

განვიხილოთ სამივე შემთხვევის მართებულობა ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მაგალითების გამოყენებით, რადგან ქართული ხალხური ქორეოგრაფია სამივე მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკას წარმოადგენს.

1. საცეკვაო ფოლკლორი ინარჩუნებს პირვანდელ სახეს ანუ ფოლკლორი რჩება ფოლკლორად.

ეს არის ავთენტური, პირველადი საცეკვაო ფოლკლორის დღევანდელობა, ხალხურ რიტუალებში შემონახული ქორეოგრაფიული ელემენტები და მათი შესრულების უწყვეტი ტრადიცია. აქ ფოლკლორი ინარჩუნებს თავის საწყის ფუნქციას, რომელიც დომინირებულად თვითდაკმაყოფილების ესთეტიკით ხასიათდება. იგი არსებობს იმ ეთნოსის წიაღში, რომელმაც იგი შობა; არსებობს იმ გეოგრაფიულ არეალში, სადაც წარმოიშვა; არსებობს იმ დღეობა-დღესასწაულებში/რიტუალებში, სადაც ინარჩუნებს თავის ფუნქციურ-შინაარსობრივ ღირებულებას; არსებობს თვითმყოფადი მხატვრულ-ესთეტიკური ფორმების ჩარჩოში, სადაც ცეკვის კომპოზიციური ელემენტები - ნახაზი და ლექსიკა - არ არის დამუშავებული, დახვეწილი, დასუფთავებული.

ქართული საცეკვაო კულტურა, როგორც ქართველთა ეთნიკური იდენტობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიშანი, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია. მისი ისტორიული წარმომავლობა მრავალი არქეოლოგიური ძეგლით დასტურდება, რომელთა გამოსახულებები მროკავ-მლოცველი ფიგურებისა და საფერხულო რიტუალების სახით შემოგვრჩა. წარმართული დროიდან მომდინარე საწესჩვეულებო სანახაობები რელიგიურ დატვირთვას ატარებდა, რომელთა ტრანსფორმირება ქრისტიანული კულტურის ზეგავლენით მოხდა. მრავალი ისტორიული ქარტეხილის გავლით, ქართველთა საცეკვაო ტრადიციები დღესაც ინარჩუნებენ პირვანდელ ფუნქციას და არქაულ ფორმებს. უმეტეს წილად ეს ხდება საქართველოს მთიან რეგიონებში. სვანური, რაჭული, თუშური, ფშაური დღეობა-დღესასწაულები: „ლამპრობა“, „ათნიგენობა“, „ლომისობა“, „მურყვამობა“, „ლაზარობა“ „შუამთობა“ და მრავალი სხვა, დღესაც, მთაში მცხოვრები ქართველი კაცის ყოფიერების ნაწილია და დღესაც ისეთივე რწმენითა და მოწიწებით სრულდება, როგორც ასწლეულების წინ. ამასთან ერთად, საერო დღესასწა-


ქორეოგრაფიული ხელოვნების გენეზისი
1
2
5
6
3
4
ხალხური-ავთენტური
სასცენო -ხალხური
თანამედროვე ცეკვა
კლასიკური ცეკვა
ისტორიულ-ყოფითი
სამეჯლისო-სპორტული
სამეჯლისო-სალონური ცეკვა
ხალხური ცეკვა
ფსიქო-ფიზიოლოგიური ფაქტორები
ეთნო-ფაქტორები
მოძრაობა
ემოციურობა
რიტმულობა
მუსიკალურობა
მიმზიდველობა
შემოქმედებითი
მისტიკური აზროვნება
ადგილმდებარეობა
ბუნებრივ-კლიმატური
ეთნოტიპი
ყოფა
წეს-ჩვეულებები
ტრადიციები
რელიგიური პანთეონი

ულების დროს, ხალხის ლხინი გაჯერებულია სატრფიალო, სახუმარო თუ შეჯიბრის ხასიათის ცეკვებით. ცალკე ნაკადს წარმოადგენს თეატრალიზირებული სანახაობა „ბერიკაობა“, სადღესასწაულო მსვლელობები - „ალილო“, „ჭონა“ და სხვა. ავთენტური ხასიათის ფოლკლორული საცეკვაო ნიმუშების სიმრავლე მოწმობს იმას, რომ საქართველო მიეკუთვნება იმ, არც თუ ისე მრავალრიცხოვან ქვეყნებს, რომელთაც ძალუძთ შეინარჩუნონ საკუთარი თვითმყოფადობა და გამორჩეული ადგილი მსოფლიო ეთნოგრაფიულ რუკაზე.

2. საცეკვაო ფოლკლორი გარდაიქმნება ხელოვნების დარგად.

ეს მიმართულება მოიცავს სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიის შექმნა-განვითარების პროცესს დასაბამიდან დღემდე. აქ ფოლკლორი კარგავს თვითმყოფადობის ნიშნებს და თავდაპირველ, უტილიტარულ ფუნქციას. ასევე, სცილდება ეთნოსის გეოგრაფიულ არეალს და მის სოციო-კულტურულ საზღვრებს. იქმნება ფოლკლორის სხვადასხვა დონით სტილიზირებული ფორმები, რომლებიც განკუთვნილია მაყურებლისთვის და ექვემდებარება სასცენო ხელოვნების ძირითად პრინციპებს. იქმნება უახლესი პერიოდის ქორეოგრაფიული ტენდენციები: ცეკვის ორნამენტული გადაწყვეტის მრავალფეროვნება, საცეკვაო ლექსიკის, ილეთთა პლასტიკური ფორმების საზღვრების გაფართოება - ე.წ. შემოქმედებითი თავისუფლება; ცეკვების მუსიკალურ-მხატვრული გაფორმების თანამედროვე ტრადიციების ასახვა სასცენო-ხალხურ ქორეოგრაფიაში.

ქართულ საცეკვაო კულტურაში ამ პროცესს აქვს კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩოები, რასაც ვერ ვიტყვით ავთენტურ ფოლკლორზე. საცეკვაო ფოლკლორის ტრანსფორმირება თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში იწყება XIX ს. დასაწყისიდან და გრძელდება დღევანდელ დღემდე. ეს პროცესი რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს მოიცავს და ყველა ეტაპი კონკრეტული ხელოვანის, კონკრეტული შემოქმედის სახელთან არის დაკავშირებული: ალექსი ალექსიძე, დავით ჯავრიშვილი, ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი, ავთანდილ თათარაძე, ჯანო ბაგრატიონი, ბუხუტი დარახველიძე და მრავალი სხვა, ვინც ქმნიდა საავტორო ქორეოგრაფიას ხალხურ საწყისებზე დაყრდნობით. მათ მრავალი ისეთი სასცენო კომპოზიცია შექმნეს (სამაია, ხორუმი, ფარიკაობა და ა.შ.), რომელმაც ხალხურობის ნიშნით დაიმკვიდრა ადგილი ქართულ ქორეოგრაფიაში და ხშირად დღეს უკვე ძნელია გაავლო ზღვარი ხალხის და ცალკეული ხელოვანის შემოქმედებით ნააზრევს შორის.

თუ ტერმინ „თანამედროვეობას“ უფრო ვიწრო მნიშვნელობას მივცემთ და მას ტერმინ „უახლესთან“ გავაიგივებთ, სრულიად განსხვავებულ ტენდენციებზე შევძლებთ საუბარს და ეს არის ახალი თაობის ქორეოგრაფია -„ზეკარი“, „ჯუთა“, „ცდო“, „ოტობაია“ „ცეკვა-თამაში“ და სხვ., სადაც ავტორი (ილიკო სუხიშვილი-უმცროსი) თამამი ექსპერიმენტების რეჟიმში, სხეულის პლასტიკის ახალ ფორმებს ძერწავს.

3. ფოლკლორის ელემენტების გამოყენება ცეკვის სხვა სახეობებში ან სხვა სანახაობით ხელოვნებებში (Performing Arts)

ეს მიმართულება არის თანამედროვეობის ერთ-ერთი მოდური ტენდენცია - დაბრუნება პირველსაწყისებთან, სამყაროს ფილოსოფიური მოდელის ამოხსნის მცდელობა „ხალხური სიბრძნის“ დახმარებით; ახალი მხატვრული სახეების შექმნის პროცესში ფოლკლორის რიტმო-პლასტიკური ფორმების და ცალკეული ელემენტების გამოყენება. აქ საუბარია საცეკვაო ფოლკლორის ცალკეული ელემენტის (და არა დასრულებული ნიმუშების) გამოყენებაზე: სცლა, ბრუნი, ჩაკვრა, გასმა, ტეხილი, მკლავების მოძრაობა-მდგომარეობები, სრული სხეულის მოძრაობა-მდგომარეობის მრავალგვარი ფორმები და სხვა, რომელიც გამოიყენება კლასიკურ ქორეოგრაფიაში ან თანამედროვე პერფორმანსებში. ამ მიმართულების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ ეროვნული თემატიკის საბალეტო სპექტაკლები - „მზეჭაბუკი“, „გორდა“, „მედეა“, „საგალობელი“ და მრავალი სხვა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საცეკვაო ფოლკლორი, მიუხედავად მისი სიძველისა, თანამედროვე ხელოვნების ორგანული ნაწილია. ქორეოგრაფიული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ფოლკლორულ პირველწყაროებთან დაბრუნება უახლესი პერიოდის მზარდი ტენდენციაა, რომელიც მსოფლიო კულტურის პოლიტიკითაც არის დეკლარირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაღაშვილი გ., ქართული მუსიკალური ფოლკლორის ესთეტიკის სათავეებთან, დისერტაცია, თბ. 2005.
- კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2007.
- სამსონაძე ა., ქართული საცეკვაო ფოლკლორის ფუნქციურ-შინაარსობრივი კლასიფიკაციის საკითხისათვის, თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. II, 2004.
- სამსონაძე ა., ქორეოგრაფიული ხელოვნების შესწავლის ძირითადი მიმართულებები, დისერტაცია, თბ., 2006.
- სამსონაძე ა., ავთენტური და სასცენო-ხალხური ქორეოგრაფიის ურთიერთმიმართების საკითხისათვის, თბილისის ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, ტ. III., 2005.
- Duncan Emrich, „Folk-lore“: William John Thoms; journal „California Folklore Quarterly“; Vol.5, #4 (okt. 1946) https://www.jstor.org/stable/1495929?seq=1